<u>**პროექტი**</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს საჰაერო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საჰაერო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №27-28/4, 21 ნოემბერი, 1996, გვ. 69) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. პირველი მუხლის:

ა) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) აეროდრომის და ვერტოდრომის დაცვის არე - აეროდრომის/ვერტოდრომის და მისი მიმდებარე ტერიტორიის თავზე სააგენტოს ან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი არე, სადაც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვის რეჟიმი;“

ბ) „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$დ^1$“- „$დ^3$“ ქვეპუნქტები:

„$დ^1$) აეროდრომის ექსპლუატანტი - იურიდიული პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს აეროდრომის ექსპლუატაციას და პასუხისმგებელია აეროდრომის ექსპლუატაციისთვის დადგენილი მოთხოვნების შენარჩუნებაზე;

$დ^2$) ვერტოდრომის ექსპლუატანტი - იურიდიული პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ვერტოდრომის ექსპლუატაციას და პასუხისლმგებელია ვერტოდრომის ექსპლუატაციისთვის დადგენილი მოთხოვნების შენარჩუნებაზე;

$დ^3$) ვერტოდრომი – აეროდრომი ან დადგენილი ფართი ნაგებობის ზედაპირზე, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ განკუთვნილია შვეულმფრენების ასაფრენ-დასაფრენად და მიმოსვლისთვის, მათ შორის, საწარმო, რომელიც ახორციელებს საჰაერო ხომალდების, მგზავრების, ბარგის, ტვირთის ან/და ფოსტის მიღებას, მომსახურებას, დამუშავებასა და გაშვებას;“.

გ) „პ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქცის „$პ^1$“ და „$პ^2$“ქვეპუნქტები:

„$პ^1$) საავიაციო დაბრკოლება – ყველა უძრავი ან/და მოძრავი ობიექტი ან მათი ნაწილები, რომლებიც განლაგებულია აეროდრომის/ვერტოდრომის სამუშაო მოედანზე, კვეთენ აეროდრომის/ვერტოდრომის დაცვის არეს ზედაპირს ან მდებარეობენ ამ ზედაპირების მიღმა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენენ საფრთხეს ჰაერნაოსნობისათვის;

$პ^2$) სამუშაო მოედანი - აეროდრომის/ვერტოდრომის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია საჰაერო ხომალდის აფრენა-დაფრენისა და მიმოსვლისათვის, მოიცავს სამანევრო არეს და ბაქანს (ბაქნებს)“.

დ) „ქ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქცის „$ქ^1$“ ქვეპუნქტი:

„$ქ^1$) საფრენი მოედანი - ხმელეთის ან წყლის გარკვეული ფართობი, რომელიც რეგისტრირებულია სააგენტოს ან თავდაცვის სამინისტროს მიერ კანონმდებლობის შესაბამისად, განკუთვნილია საჰაერო ხომალდების მიღებისა და გაშვებისათვის და რომელსაც შესაძლებელია არ გააჩნდეს ხელოვნურ საფარიანი ასაფრენ-დასაფრენი ზოლი“

2. VI თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აეროდრომები, ვერტოდრომები და აერპორტები“

3. 37-ე - 43-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 37. აეროდრომის, ვერტოდრომის და აეროპორტის კლასიფიცირება

1. საუწყებო დაქვემდებარების მიხედვით, აეროდრომი და ვერტოდრომი იყოფა სამოქალაქო ავიაციის და სახელმწიფო ავიაციის აეროდრომად და ვერტოდრომად.

2. სამოქალაქო და სახელმწიფო ავიაციის აეროდრომის და ვერტოდრომის მიმართ ამ კოდექსის და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტებით დგინდება შესაბამისი საჰაერო სივრცე, ამ სივრცის კლასიფიკაცია და საჰაერო მოძრაობის მომსახურების სახეობა.

3. აეროპორტს/ვერტოდრომს საერთაშორისო სტატუსს ანიჭებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 38. აეროდრომის და ვერტოდრომის დაპროექტება და მშენებლობა

1. აეროდრომის და ვერტოდრომის მშენებლობისათვის საჭირო (ვარგისი) ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმით, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში - საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გამოყოფილ ტერიტორიაზე აეროდრომის და ვერტოდრომის მშენებლობის ნებართვა გაიცემა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ფრენის უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით.

3. სამოქალაქო ავიაციის აეროდრომის და ვერტოდრომის დაპროექტების და ექსპლუატაციის ნორმებს შეიმუშავებს სააგენტო, ხოლო სახელმწიფო ავიაციის აეროდრომის და ვერტოდრომის შემთხვევაში-საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 39. აეროდრომის და ვერტოდრომის სერტიფიცირება

1. სამოქალაქო ავიაციის აეროდრომი და ვერტოდრომი ექვემდებარება სერტიფიცირებას.

2. სამოქალაქო ავიაციის აეროდრომის და ვერტოდრომის სერტიფიცირების წესი და პირობები განისაზღვრება სააგენტოს დირექტორის ბრძნებით.

3. სახელმწიფო ავიაციის აეროდრომი და ვერტოდრომი, რომელიც გამოიყენება სამოქალაქო მიზნებისთვის, ასევე ექვემდებარება სერტიფიცირებას სამოქალაქო ავიაციის აეროდრომის და ვერტოდრომის სერტიფიცირებისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 40. აეროდრომის, ვერტოდრომის და საფრენი მოედნის რეგისტრაცია და აღრიცხვა

1. სააგენტო აწარმოებს სერტიფიცირებული აეროდრომის, ვერტოდრომისა და რეგისტრირებული საფრენი მოედნის რეესტრს.

2. სახელმწიფო ავიაციის აეროდრომის და ვერტოდრომის რეგისტრაციას და აღრიცხვას ახორციელებს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. სამოქალაქო აეროდრომის, ვერტოდრომის და საფრენი მოედნის, სერტიფიცირების, რეგისტრაციის და აღრიცხვის წესს ამტკიცებს სააგენტო.

3. სახელმწიფო ავიაციის აეროდრომის, ვერტოდრომის რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესს ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

მუხლი 41. აეროდრომის და ვერტოდრომის დაცვის არე

1. სამოქალაქო აეროდრომის და ვერტოდრომის დაცვის არეს (შემდგომში - დაცვის არე) ადგენს სააგენტო სერტიფიცირების პროცესში და აცნობებს შესაბამის მუნიციპალიტეტს.

2. სახელმწიფო აეროდრომის და ვერტოდრომის დაცვის არეს ადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

3. ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სამოქალაქო და სახელმწიფო ავიაციის აეროდრომის და ვერტოდრომის დაცვის არეში შენობა-ნაგებობების სიმაღლეები, ასევე, სხვა ობიექტების ექსპლუატაციის თავისებურებები, განისაზღვრება ამ მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული დადგენილებით.

4. სამოქალაქო ავიაციის აეროდრომის და ვერტოდრომის დაცვის არეში შენობა-ნაგებობებზე შესაბამისი ნებართვა გაიცემა სააგენტოსთან შეთანხმებით, ხოლო სახელმწიფო ავიაციის აეროდრომის და ვერტოდრომის დაცვის არეში - საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.“

5. ამ მუხლის მიზნებისთვის აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

6. სამოქალაქო და სახელმწიფო ავიაციის აეროდრომის და ვერტოდრომის დაცვის არეს დადგენისა და ამ არეში საავიაციო დაბრკოლებების შემქმნელი შენობა-ნაგებობათა, და სხვა ობიექტების მშენებლობის, ექსპლუატაციისა და გამოყენების შეზღუდვის შესახებ წესს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 42. შენობა-ნაგებობის ნიშანდება

1. კანონმდებლობით დადგენილი წესით, ობიექტის საავიაციო დაბრკოლებად იდენტიფიცირებას ახორციელებს სააგენტო, ხოლო სახელმწიფო ავიაციის აეროდრომის და ვერტოდრომის დაცვის არეში -საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

2. საავიაციო დაბრკოლებად იდენტიფიცირებული დაგეგმილი მშენებლობის/რეკონსტრუქციისას, კანონმდებლობის შესაბამისად, შენობა-ნაგებობის ნიშანდების ვალდებულება გათვალისწინებული უნდა იქნეს მშენებლობის ნებართვის გამცემი უფლებამოსილი ორგანოს მიერ სანებართვო პირობებში.

3. საავიაციო დაბრკოლებად იდენტიფიცირებული ობიექტის ნიშანდებას და ამ ნიშანდების მოვლა-შენახვას უზრუნველყოფს შესაბამისი ობიექტის მფლობელი.

4. დაცვის არეში აკრძალულია აეროდრომის ნიშნების მსგავსი და აეროდრომების მოწყობილობების მსგავსი ნიშნებისა და მოწყობილობების განლაგება, აგრეთვე, ლაზერული გამოსხივების მქონე საშუალებების გამოყენება, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ პილოტის დეზორიენტაცია ან ხელი შეუშალონ ფრენების უსაფრთხოდ შესრულებას.

5. საავიაციო დაბრკოლებების შემქმნელი შენობა-ნაგებობათა ნიშანდების შესახებ დადგენილებას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 43. აეროპორტის კავშირი ქალაქებსა და დასახლებულ ადგილებთან

1. უახლოეს ქალაქებსა და დასახლებულ ადგილებთან აეროპორტს უნდა ჰქონდეს სატრანსპორტო მიმოსვლა, კომუნიკაციის საშუალებები.

2. შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ აეროპორტებთან მისასვლელი გზების კეთილმოწყობას და მათზე შეუფერხებელ სატრანსპორტო მოძრაობას.“.

4. 54-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 54. საერთაშორისო ფრენის შესრულება

საჰაერო ხომალდებს და საავიაციო პერსონალს უფლება აქვთ შეასრულონ საერთაშორისო ფრენა და გასწიონ მომსახურება სააგენტოს მიერ გაცემული ნებართვის (სერტიფიკატის, მოწმობის) საფუძველზე.“.

5. 56-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. ავიასაწარმოები, რომლებიც ახორციელებენ ან უზრუნველყოფენ საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვას და საავიაციო სამუშაოების შესრულებას, ავიაციის ტექნიკური მომსახურების საწარმოები, აეროდრომები, ვერტოდრომები, საჰაერო ხომალდები და მათი ძრავები, სახმელეთო და საავიაციო მოწყობილობები, სააერნაოსნო მომსახურების (გარდა საძებნ-სამაშველო მომსახურებისა) საწარმოები, სამოქალაქო საავიაციო საგანმანათლებლო დაწესებულებები, ავიასამედიცინო ცენტრები, ავიასამედიცინო ექსპერტები, საავიაციო პერსონალი, საჰაერო ხომალდების საწვავ-გასამართი საწარმოები და მათი ტექნიკური პერსონალი, სხვა იურიდიული და ფიზიკური პირები, რომელთა საქმიანობა უშუალოდ არის დაკავშირებული ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფასთან, ექვემდებარებიან სერტიფიცირებას. სერტიფიკატი ადასტურებს ავიასაწარმოს ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების მოთხოვნებთან შესაბამისობას.“

6. 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) აეროდრომით, საფრენი მოედნებითა და მოწყობილობებით სარგებლობისა და მათი საექსპლუატაციო მდგომარეობაში შენახვის წესი;“

მუხლი 2

საავიაციო დაბრკოლებად იდენტიფიცირებული შენობა-ნაგებობის ნიშანდების ვალდებულება არ ვრცელდება ამ კანონის ძალაში შესვლამდე აშენებულ იმ შენობა-ნაგებობებზე, რომლებთაც არ გააჩნიათ სათანადო ნიშანდება, ასევე იმ ასეშენებელ შენობა-ნაგებობებზე, რომელთა მშენებლობის ნებართვა გაცემულია ამ კანონის ძალაში შესვლამდე ან მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება აღნიშნული ნებართვის გაცემის მიზნით.

მუხლი 3

საქართველოს მთავრობამ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარდგინებით, 2023 წლის 1 ოქტომბრამდე უზრუნველყოს „აეროდრომის და ვერტოდრომის დაცვის არეს დადგენისა და ამ არეში საავიაციო დაბრკოლებების შემქმნელი შენობა-ნაგებობათა მშენებლობის, აგრეთვე შენობა-ნაგებობებისა ექსპლუატაციის, შეზღუდვისა და ნიშანდების წესის დამტკიცების თაობაზე“ დადგენილების მიღება.

მუხლი 4

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი და მეორე მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი და მეორე მუხლები ამოქმედდეს 2023 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**